საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 9

ქ. თბილისი **18 სექტემბერი, 2019 წელი.**

სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, ჩიტაშვილი მარინა, პაპავა გივი, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **ეკატერინე კვირკველიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **ლაშა ფანჩულიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციაში ცვლილების** საკითხის განხილვა;
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ნათია ჯიბლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ნათია აღლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **სულხან ტაბაღუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ცოტნე ულენტის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირაკლი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

10. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **ქეთი ცხადაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

11. მედიცინის ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის** დამტკიცება;

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და ასევე გააცნო იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის კოორდინატორის თამთა ანთიძის მიერ მის სახელზე ელფოსტით შემოსული წერილი იურიდიული ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის** განუხილველად დატოვების შესახებ მასში არსებული ხარვეზების გამო.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნეს საკითხი - იურიდიული ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის დამტკიცება**.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის დალი ჩიტუნაშვილის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის "კორიუნის "მაშტოცის ცხოვრება" (ტექსტის თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები)" (სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. ზაზა ალექსიძე, ასოც.პროფ. ნატია ჩანტლაძე) სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა დაცვის კომისიის ყველა წევრი, გაიმართა საინტერესო დისკუსია პროცედურის დაცვით, ნაშრომი შეფასდა 99.9 ქულით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა ხ. გაფრინდაშვილის ნაშრომები თუ არის ცნობილი სომხური სამეცნიერო წრეებისათვის.

მოისმინეს: დ. ჩიტუნაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტანტს ხშირი კონტქტი აქვს სომხეთის სამეცნიერო წრეებთან, კითხულობს მოხსენებებს სხვადასხვა სესიებსა და კონფერენციებზე და მისი ნაშრომებით სომხური მხარის დაინტერესება მაღალია. ნაშრომის წიგნად გამოცემაც დაგეგმილია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ხათუნა გაფრინდაშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **ეკატერინე კვირკველიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის რუსუდან სანაძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის "პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიურლი მახაიათებლების კვლევა" (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ჭკუასელი) სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი განათლების მეცნიერებების სფეროში აქტუალურ საკითხს ეხებოდა, წარმოდგნილი იყო კვლევა, რომელსაც პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულება გააჩნია. პრეზენტაციისას გარკვეული ხარვეზების გამო საბოლოო შეფასება განისაზღვრა 56 ქულით.

აზრი გამოთქვა: იური ანანიაშვილი დაინტერესდა კვლევის მეთოდებით.

მოისმინეს: რ. სანაძემ განმარტა კვლევის მეთოდები, ჯგუფების შერჩევის პრინციპები და გამოკითხვის გზები.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ეკა კვირკველიასთვის** განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **ლაშა ფანჩულიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის იოსებ ვარძელაშვილის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის "სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესის დარღვევისათვის" (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ნონა თოდუა) სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვა წარიმართა პროცედურების დაცვით, გაიმართა დისკუსია, ნაშრომი შეფასდა 74 ქულით.

აზრი გამოთქვა: თამარ ებრალიძე აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის სათაური საბაჟო სამართლის სფეროს განეკუთვნება და სასურველი იქნებოდა გარკვეული ბალანსი დაცული ყოფილიყო სისხლის სამართალს და საბაჟო სამართალს შორის.

მოისმინეს: ი. ვარძელაშვილმა განმარტა, რომ მსგავსი შენიშვნა გამოთქვა ერთ-ერთმა რეცენზენტმაც და დისკუსიისას ამ შენიშვნას პასუხი გასცა დოქტორანტმა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლაშა ფანჩულიძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციაში ცვლილება.** აღნიშნა, რომ ცვლილება განხორციელდა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვილილება რეკომენდციის საფუძვლზე შედის ინსტრუქციაში და საჭიროებს მხარდაჭერას.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციაში ცვლილება დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.**

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ნათია ჯიბლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის ლელა ბახტაძის და კომისიის წევრის ლელა ჯამაგიძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის "საქართველოს ექსპორტის დივერიფიკაციის პერსპექტივები საფინანსო ინვესტიციების ხელშეწყობით" (სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც.პროფ. მიხეილ თოქმაზიშვილი) სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ დისერტაციის დაცვა წარიმართა პროცედურების დაცვით და დაიმსახურა შეფასება 90 ქულა.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნათია ჯიბლაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ნათია აღლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე რამაზ ფუტკარაძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის "სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტი" (სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფ. შოთა შაბურიშვილი) სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კომისიის 13 წევრიდან დაცვას ესწრებოდა 11 წევრი, დაცვა წარიმართა პროცედურის დაცვით და ნაშრომი შეფასდა 96 ქულით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა პუბლიკაციების გამოცემის ადგილით.

მოიმინეს: რ. ფუტკარაძის განმარტება, რომ ნ. აღლაძეს დისერტაციათან დაკავშირებით ორი პუბლიკაცია გამოქვეყნებული აქვს საზღვარგარეთ, ორი საქართველოში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნათია აღლაძისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **სულხან ტაბაღუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე", სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი - იური ანანიაშვილი).

აზრი გამოთქვა: იური ანანიაშვილმა საბჭოს მიმართა წინადადებით - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის, თსუ პროფესორ ნოდარ ხადურის გარდაიცვალების გამო - კომისია დაამტკიცოს აღნიშნულის გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **სულხან ტაბაღუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შემდეგი სახით:

რეცენზენტები:

ა) მარინა მუჩიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი;

ბ) თამარ კბილაძე - ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი

ბ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი

გ) ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი

დ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი

ე) გივი ბედიანაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი
ვ) ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი
ზ) ნინო მიქიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი
თ) დავით სიხარულიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი
ი) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი
კ) მერაბ ჯულაყიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ცოტნე უღენტის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე", სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ ასოც. პროფესორი - ნაზირა კაკულია).

აზრი გამოთქვა: იური ანანიაშვილმა საბჭოს მიმართა წინადადებით - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის, თსუ პროფესორ ნოდარ ხადურის გარდაიცვალების გამო - კომისია დაამტკიცოს აღნიშნულის გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ცოტნე უღენტის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შემდეგი სახით:

რეცენზენტები:
ა) მიხეილ თოქმაზიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი.
ბ) მამუკა ხუსკივაძე - თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი
ბ) თემურ შენგელია - თსუ პროფესორი
გ) იური ანანიაშვილი - თსუ პროფესორი
დ) ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი
ე) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი
ვ) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი
ზ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორ
თ) თეა ლაზარაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ი) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი
კ) მურმან ცარციძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ირაკლი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები

საქართველოში", სამეცნიერო ხელმძღვანელი: ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ირაკლი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით:

რეცენზენტები:

ა) მიხეილ თოქმაზიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი.

ბ) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) იოსებ ხელაშვილი - თსუ პროფესორი

ბ) ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გ) გივი ბედიანაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

დ) ლელა ბახტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

ე) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

ვ) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი

ზ) ეკა სეფაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი

თ) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

ი) შოთა შაბურიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი

კ) ჯემალ ხარიტონაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი

ლ) ლელა ჯამაგიძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ქეთი ცხადაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე" სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ ასოც. პროფესორი - ლელა ბახტაძე).

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **ქეთი ცხადაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით:

რეცენზენტები:

ა) ლია თოთლაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი.

ბ) დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) გივი ბედიანაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ბ) ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გ) შოთა ვეშაპიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი

დ) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი
ე) ნინო მიქიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი
ვ) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი
ზ) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის **ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.**

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა რომ ინსტრუქცია სრულად ითვალისწინებს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნებს, ასევე სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციებს მანამდე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ინსტრუქციების მიმართ და სავსებით მისაღებია წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ნ. ოკრიბელაშვილის ინფორმაცია ინსტრუქციაზე მუშაობის ეტაპების შესახებ.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი